სახალხო გაზეთი

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

გაზეთის № 581

დამატების № 102

კვირა, 22 აპრილი 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერცენის დღესასწაული ნიცაში.



ჰერცენის ძეგლის წინაშე ჰერცენის შვილიშვილი, ლოზანოს უნივერსიტეტის პროფესორი სიტყვას ამბობს. მარცხნივ სდგას **ჰერცენი-პროფესორი**, შუაში—ფრანგი სოციალისტი **შტეგელბერგი**, მარჯვნივ **თ-დი მ. თუმანიშვილი.**

ჰერცენის საფლავზე მიმავალი პროცესია, სასაფლაოს შესავალთან.

თეთრი ყვავილი.

—:—

სული ეძებს ყოფნის წალკოტს, სულს სიცოცხლე ენატრება,
შავ სიკვდილის შავი ეტლი სხივთ სიცილში იკარგება,
დრომ დასწყვიტა ღამის ხუნდი და განთიადს მოუწოდა:—
ვაი იმას, ვინც მზე დაჰგმო, ვაი იმას, ვინც მზეს სცოდა!

საუკუნეთ თეთრი ჩიტი მალვით ჰკოცნის თეთრ ყვავილსა,
უფსკრულისკენ ერეკება თალხით მოსილ ჟამთ აჩრდილსა,
მიწამ ჰპოვა ოქროს კიბე ცის სარკეზე ამართული,
ვრცელ მსოფლიოს კიდე-პირად აციმციმდა სიყვარული.

ზეცის მადლი, სოფლის კვნესა, ნაზ სივრცეზე გაიშალა,
მომავალმა გამოაკრთო ყრუ წარსულში რაც მიმქრალა,
ბნელს გაექცა მზის ასული, ნეტარება გულს დასთოვა,
ფრთა შემოჰკრა ლურჯ კამარას და წარტაცა სოფელს გლოვა.

ახ, ვინ ჰგალობს ჟამთ ოლიმპზე სულის წარმტაც, ნეტარ ხმითა?
ვინ მიუძღვნა სულს ყვავილი ჯერ უხილავ სამოთხითა?
— ეგ მიწამ სცნო უკვდავება არსის სიმში ორთქლად მდნარი,
— ეგ მომავლის ტურფა ველზე სრულ-ყოფისა სჩანს ბაღნარი!

და უხილავ ედემისკენ მიჰქრის, მიჰფრენს მნათობთ კრება,
სული ეძებს შვების წალკოტს, სულს სიცოცხლე ენატრება...
დრომ დასწყვიტა ღამის ხუნდი და განთიადს მოუწოდა:—
ვაი იმას, ვინც მზე დაჰგმო, ვაი იმას, ვინც მზეს სცოდა!

ნ. ჩხიკვაძე.

ვიცენტი ბლასკო
იბანიესის ნოველები

ზ ღ ვ ა ზ ე

დილის ორ საათზე საწყალი ქოხის კარებთან გაისმა ხმა — ანტონიო, ანტონიო!

ანტონიო წამოვარდა ლოგინიდან: ეძახოდა მისი ამხანაგი, რომელთანაც ერთად დადიოდა სათევზაოდ; აცნობებდა, რომ დრო იყო ზღვაში გასულიყვნენ.

ანტონიოს არ დასცალდა გემრიელად გამოძინება. თერთმეტს საათზე ჯერ კიდევ ლაპარაკით იყო გართული თავის საწყალ ცოლთან, რუფინასთან, რომელიც მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში და უფულობას სჩიოდა. საქმე ცუდად იყო, რა საძაგელი ზაფხული დაუდგათ! შარშან სკუმბრია *) ქარავნობით მიდიოდა ხმელთა შუა ზღვაში; დღე ისე არ გავიდოდა, რომ ოცი ოცდაათი არჩობა **) არ ამოეყვანათ წყლიდან. ფული ოხრად მოდიოდა და ვინც ანტონიოსავით თავშენახული იყვნენ, ცოტაოდენი გადასდეს კიდეც, შეიძინეს საკუთარი ხელსაწყო, თავი დააღწიეს სხვის მონობას.

პატარა ნავთსადგური სავსე იყო. ყოველ ღამე თავს იყრიდა მრავალი ნავი, იმდენი, რომ გასანძრევი ადგილიც აღარ რჩებოდა; რაც უფრო მატულობდნენ ნავები, მით უფრო კლებულობდა თევზი.

ბადეს მეტად ნაკლები თევზი ხვდებოდა, ისიც რაღაც წვრილი, რომელიც შესაწვავად ვარგოდა. სკუმბრიამ წელს სხვა გზა აირჩია და ჯერ არავის დაეჭირა ვერც ერთი ამ თევზისა.

რუფინას შიშსა ჰგვრიდა ასეთი მდგომარეობა: შინ გროში არ მოეძევებათ, ვალი ჰმართებთ: მეპურისა და სენიორ ტომასიც. ეს უწინდელი მეთევზე, მოვახშეობის წყალობით, ეხლა მთელის სოფლის ბატონია, მუდამ დაღუპვას ემუქრებოდა, თუ ნაწილს მაინც არ გადაიხდიან იმ ორმოცდა ათ დუროსას, რომელიც მისგან ისესხეს ამ ლამაზ, კარგად

*) ერთგვარი თევზია.
**) არჩობა—ოცდა ხუთი გირვანქა.

„ტიტანიკ“-ის დაღუპვის გამო.



„ტიტანიკი“-ს 1 კლასის მგზავრთა სასადილო დარბაზი.



„ტიტანიკის“ უმთავრესი კიბე და ვესტიბიული.



„ტიტანიკის“ პირველი კლასის მგზავრთა ერთ-ერთი სასტუმრო ოთახ.



„ტიტანიკზე“ გამართული საბანაო აუზი, რომლის გვერდითაც საუცხოოდ მოწყობილი აბანო იყო.



„ტიტანიკ“-ზე დაღუპული ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი **ვილიამ სტედი.**

მგავალის ნავის მოსაწყობად, რომელსაც მოანდომეს მთელი გადადებული ფული.

ანტონიომ გააღვიძა ცხრა წლის შვილი, რომელიც სათევზაოდ დაჰყვებოდა და ვაჟკაცის მაგიერობას უწევდა.

— ვნახოთ, იქნება დღეს მაინც გავიმარჯვოთ,—წაიბუტბუტა ქალმა, რომელიც ლოგინში დარჩა.—სამზარეულოში დამზადებულია კალათა სანოვაგით... გუშინ აღარ მომცეს დუქანში ნისიად... ოჰ, ღმერთო! რა დაწყევლილი ხელობაა!

— დაჩუმდი, დედაკაცო! ზღვა ვერ არის კარგი, მაგრამ ღმერთი მოგვხედავს. გუშინ რამდენიმე კაცმა წყლიდან ამოიხტარი თევზი ნახა, დიდი ყოფილიყო, ასე ოცდაათ ოროგამდე. ვნახოთ, თუ ჩვენს ანკესს მოჰყვა... ეგ ხომ სამოცდოროს ნიშნავს.

მეთევზე განაგრძობდა ჩაცმას და თან ფიქრობდა ამ თევზის შესახებ, რომელიც მოჰშორებოდა ქარავანს და ჩვეულებისამებრ დაბრუნებულიყო იმ ადგილს, სადაც შარშან სცხოვრებდა.

ანტონიკო ფეხზე იდგა და მზად იყო წასასვლელად, დინჯი და თავის თავით კმაყოფილი, რომ თავის შრომით შოულობს პურს ამ ხანში, როდესაც მისი ტოლები თამაშით ირთობენ თავს. ზურგზე სანოვაგის კალათა მოეკიდნა, ხელში პატარა ჭურჭელი ეჭირა, რომელშიაც წვრილი თევზი ჰყავდა დასაჭერ თევზის მოსანადირებლად.

მამა და შვილი გამოვიდნენ ქოხიდან და ზღვის ნაპირს გაჰყვნენ, მინამ მეთევზეთა ბინას არ მიაღწიეს. ამხანაგი ნავში იყო და იალქანს უმარჯვებდა.

ნავები ბნელაში გაუდგა გზას.

შავად მოსჩანდნენ ზღვაოსნები, რომელნიც ფუსფუსობდნენ ნავებში. სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ მზადების ხმაურობა, ერთბაშად გაიშალა იალქნები უშველებელ სუდარების მსგავსად.

სოფელი თავისის სწორე ქუჩებით ზღვის პირამდის ჩადიოდა. ქუჩებს აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო პატარ-პატარა თეთრი სახლები, რომელშიაც პოულობდა თავშესაფარს ყველა ის ოჯახი, რომელიც საზაფხულოდ მოდიოდა ზღვაზე ნა-

ლენის მუშათა გაფიცვა და დახოცვა.



ვ. ი. ტიმირიაზევი
სახ. საბჭოს წევრი და ლენის სამრეწველო ამხანაგობის ფინანსიურ საქმეთა გამგე, რომელსაც წელიწადში 50 ათასი მანეთი აქვს ჯამაგირად.



კ. ნ. ტულჩინსკი
ლენის საოლქო ინჟენერი, რომელსაც ნდობით ეკიდებოდნენ მუშებიც და მრეწველნიც.

ხევარ კუნძულის *) სიღრმიდან. ზედ ზღვის პირას იდგა გაჩაღებულ ფანჯრებით დიდი თეთრი სახლი.

ეს იყო კაზინო **), ანტონიომ სიძულვილით გადახედა. როგორ ატარებდა ღამეს ეს ხალხი! ფულზე თამაშობდნენ... გათენებამდის ადგომა რომ სჭირდებოდეთ ლუკმა-პურის საშოვნელად...

— ასწი, ასწი! ბევრნი ჩვენზე ადრე გასულან ზღვაში.

ამხანაგმა და ანტონიომ ასწიეს ირიბი იალქანი, რომელიც გაიმართა და გაიბურთა ქარისაგან.

ჯერ ნელ-ნელა გასცურა ნავმა წყნარ წყალში; შემდეგ ზღვა აღელდა და აათამაშა ნავი; ეხლა შორს იყვნენ ნაპირიდან, გაშლილ ზღვაში.

წინ უსაზღვრო წყვდიადში ბჟუტავენ ვარსკვლავები, მარჯვნით და მარცხნით კი, ზღვის შავს ზედაპირზე ნავები და მხოლოდ ნავები, რომელნიც ცხვირწაწვდილ მოჩვენებებსავით მისრიალებენ.

ამხანაგმა მოავლო თვალი ზღვას!

— ანტონიო, ქარი იცვლება.

— ჰო, მეც შევნიშნე.

— დიდი ღელვა იქნება.

— ვიცი, მაგრამ—წინ!—მოვშორდეთ დანარჩენთ.

ნავი მის მაგიერ რომ სხვებთან ერთად ევლო კიდე-კიდე, შუა ზღვისაკენ გასწია, უფრო და უფრო შორ.

გათენდა. მზემ, წითელ უშველებელ კეცვით ბრტელმა, გაანათა ზღვა. ადუღებულ წყალს თითქო ცეცხლი მოეკიდა.

ანტონიო მესაჭეობდა, მისი ამხანაგი ანძასთან იდგა, ხოლო ბავშვი ნავის ცხვირზე იყო და ზღვას გაჰყურებდა. ნავის ბოლოდან და კიდეებიდან ჩაშვებული იყო დაგრეხილი ძუა, რომელიც მიითრევდა მოსანადირებელს. დრო გამოშვებით ამოიღებდნენ ხან ერთსა და ხან მეორეს და ნავის ბანზე ვარდებოდა თევზი, ბრჭყვიალა და მოფართხალე, როგორც ცომცომა ვერცხლი. მაგრამ ეს რაღაც წვრილი თევზი იყო... უმნიშვნელო...

ასე გაიარა ბევრმა საათმა. ნავი წინ მისრიალებდა. ხშირად მაღლა ისროდა მას ტალღა და ნაფოტივით აქეთ-იქით აქანავებდა. დაცხა, ანტონიკო გაიქცა წყლის დასალევად.

ათ საათზე ხმელეთი თვალთაგან მიეფარათ. უკან სჩანდა მხოლოდ დანარჩენ ნავების იალქნები.

— გამიგონე, ანტონიო!—წამოიძახა ამხანაგმა,—ასე ხომ ორანს მივალთ. რაკი თევზი არა გვხდება, სულ ერთია, აქაც და წინაც ერთი და იგივე იქნება.

ანტონიომ მოაბრუნა საჭე და ნავი სხვა გზით წავიდა. მაგრამ არა ნაპირისაკენ.

—ეხლა,—მხიარულად წამოიძახა ანტონიომ,—შეგვიძლიან ვისაუზმოთ. ამხანაგო, მოიტა კალათი. როდესაც ჰნებავდეს, მაშინ გამოჩდეს თევზი.

ყველას ერგო თითო დიდი პურის ნატეხი და მაგარი ხახვის თავი, რომელიც ჯერ მუშტით დაარბილეს.

ქარი დიდი იყო და ნავს ძლიერ ანძრევდა და ისვროდა განიერ და ღრმა ტალღებზე.

— მამა!—წამოიძახა უცბად ანტონიკომ.—თევზი, დიდი, უშველებელი!...

პური და ხახვი განზე მიაგდეს! და დატრიალდნენ. დიდები კიდეს! მივარდნენ.

— ჰო, ეს იყო უშველებელი, მსხვილი მძიმე თევზი; შავი მბზინავი ზურგი გეგონებოდათ აგერ—აგერ ამოჩნდება წყლიდანაო; ეს ერთ-ერთ განდეგილთაგანი უნდა ყოფილიყო, როგორც მეთევზენი უწოდებენ, ძალზე მისცურავდა და ხან ერთ მხრიდან ამოუდგებოდა ნავს და ხან მეორეოდგან ხან იმალებოდა თვალთაგან და ხან უეცრად გამოჩდებოდა.

ანტონიო გაწითლიდა კიდეც აღელვებისაგან და საჩქაროდ გადააგდო ზღვაში თითის სიმსხო ძუაზე დამაგრებული ანკესი.

წყალი აღელდა გარშემო და ნავი ათრთოლდა, თითქო, რაღაც წარმოუდგენელი დიდი ძალა დაეტაკა,—გაჩერება და უკან გაბრუნება დაუპირა. ნავი კანკალებდა და აბურთებული იალქნი გეგონებოდათ აგერ-აგერ გადაამტვრევს ანძას, მაგრამ უეცრად დამაბრკოლებელი ძალა გაჰქრა და ნავი ისევ წინ გაეშურა.

დაგრეხილი ძუა გამართული და ძალზე გაჭიმული ეხლა თავისუფლად მოსცურავდა. ამოიღეს და დაინახეს, რომ მიუხედავად თავის სიმსხოსი გამწყდარიყო.

ამხანაგმა უიმედოდ გაიქნია თავი.

— ეგ მხეცი ჩვენზე ძლიერია, ანტონიო, წავიდეს, დაიკარგოს, ჩვენ კი ვმადლობდეთ ღმერთს, რომ ძუა გაწყდა. ცოტა კიდე—და ყველანი ჩავიძირებოდით.

— წავიდესო?—წამოიძახა ანტონიომ.— გაგიჟებულხარ? იცი, რა ღირს ეგეთი თევზი? რა დროს შიში და ყოყმანია. მივყვეთ, მივყვეთ!—და ანტონიომ საჭეს საშუალებით ისევ იმ ადგილს მიიყვანა ნავი, სადაც პირველად შეხვდათ თევზი.

ხელმეორედ გადააგდო ანკესი, უფრო დიდი, რომელზედაც რამდენიმე პატარა თევზი იყო აგებული, და ხელში წვეტიანი ბარჯი დაიჭირა. აბა, როგორ დაარტყას იმ სულელ პირუტყვს, როგორც კი მიუახლოვდება!

ანკესის თოკი ისევ დაიჭიმა. ნავი ისევ აათამაშა უწინდელზე უარესად. თევზი კარგად მოედო, უძალიანდებოდა ანკესს და ხან ერთ ადგილს აჩერებდა ნავს და ხან გიჟურად ათამაშებდა ტალღებზე.

წყალი დუღდა სწორედ, ზედა პირი აქაფდა, თითქო იქ, სიღრმეში, მდევთა ბრძოლა ყოფილიყოს. ერთბაშად თითქო უხილავმა ძალამ დაატანა ხელიო, ნავი დაიზნიქა და ნახევრამდის ჩაიძირა წყალში.

*) ისპანია მოთავსებულია პირინეის დიდ ნახევარ კუნძულზე.

**) სააგარაკო ადგილი მეაგარაკეთა დროს გასატარებელი სახლი—კლუბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთმა უეცარმა ძალამ ყველანი დასცა. ანტონიომ ხელი გაუშვა საჭეს და კინაღამ ტალღებმა გაიტაცეს; მაგრამ გაისმა საშინელი ჭრიჭინი და ნავმა ისევ პირვანდელი მდგომარეობა მიიღო. ძუა ისევ გაწყდა, და იმავე წამს ზედ ნავის პირას გამოჩდა თევზის მძლავრის კუდით აყანებული ქაფი. აი, ის წყეული.! ძლივს არ მოვიდა იმ სიახლოვეს, რომ ბარჯით მისწვდეს და სცხოს. და ანტონიომ ისეთის ძალით დაჰკრა რამდენიმეჯერ და ისე ღრმად დაუწვდინა წვეტი მის მოლიპულ ტყავს, თითქო მისი დაუძინებელი და საშინელი მტერი ყოფილიყოს. წყალი ერთბაშად წითლად შეიღება და თევზი დაიკარგა წითელ მორევში.

ანტონიომ სული მოითქვა, ბედნიერად გადარჩნენ! ყველა ეს რამოდენსამე წამს მოხდა; ცოტა რომ გაგძლებულიყო კიდევ, ყველანი ჩაიძირებოდნენ.

მოიხედა უკან და თავისი ამხანაგი ანძასთან დაინახა: ამას ხელი მოევლო ანძისათვის და ფერწასული, სრულებით აუღელვებელი იდგა.

—მე კი მეგონა, ველარ გადავრჩებოდით, ანტონიო. ცოტა წყალიც გადავყლაპე... საძაგელი პირუტყვი! მაგრამ შენც კაი-კაი უთავაზე სადაც არის, ამოტივტივდება.

—ბავშვი?.. იკითხა მამამ და ამ კითხვაში შიშის და სევდის ხმა ისმოდა; თანაც სჩანდა, პასუხისა ეშინოდა.

ბავშვი ნავზე არ სჩანდა. ანტონიო მივარდა ხან ერთ კუნჭულს, ხან მეორეს და ვერსად ვერა პოულობდა.

— ჩემო შვილო! შვილო!... ჩემო ანტონიკო!..

ამხანაგმა უიმედოდ გაიქნია ხელი. კინაღამ ყველანი არ დაიღუპნენ? გარეტიანებული ბავშვი ტყვიასავით დაიძირა. მაგრამ ამხანაგმა მხოლოდ გაიფიქრა ეს და ხმა არ ამოუღია.

შორს, იმ ადგილს, სადაც ნავი კინაღამ გადაბრუნდა, წყალზე მოსჩანდა რაღაც შავი საგანი.

— იქ არის!

და საბრალო მამა გადახტა, მოუცურდა; მისმა ამხანაგმა ამასობაში იალქანი ჩამოუშვა.

მამა მისცურავდა და მიარღვევდა წყალს; დაიღალა, როდესაც დაინახა, რომ ის შავი საგანი ნავის ნიჩაბი იყო.

ტალღა რომ აიტაცებდა, ანტონიო სცდილობდა რაც შეეძლო გამართულიყო, რომ რაც შეიძლება შორს გაეხედნა. წყალი, გარშემო წყალი და სხვა არაფერი! წყალზე იყვნენ ის, მისკენ მომავალი ნავი და შავად ამოფურყული ტანი ძლივსღა ამოტივტივებულის თევზისა, რომელსაც თავის გარშემო წითლად შეეღება წყალი და ამ წითელ წყალში ტივტივებდა.

თევზი მკვდარი იყო... ძვირად დაუჯდა ეს საშოვარი. ერთად ერთის შვილის, მის ანტონიკოს სიცოცხლის ფასად. ღმერთო, ღმერთო! ესეც პურის საშოვნელი ხელობაა!

ერთ საათზე მეტს დასცურავდა კიდევ, და ყოველ ხელის გაქნევაზე ელოდა, აი აგერ ამოსცურავს ჩემი შვილიო, და ყოველი ჩრდილი, რომელსაც ერთი ტალღა მეორეს აყენებდა, თავის შვილის გვამად ეჩვენებოდა.

აქ დავრჩები, აქ მოვკვდება ჩემ შვილთან ერთად!

ამხანაგმა ძლივს დაიჭირა და ურჩ ბავშვსავით შეათრია ნავზე.

— რა ვქნათ, ანტონიო?

ანტონიომ ხმა არ გასცა.

— უნდა შევურიგდეთ, ამხანაგო. ასეთია ცხოვრება. ბავშვმა იქ ჰპოვა სიკვდილი, სადაც ყველა ჩვენი წინაპრები დაიღუპნენ და სადაც ჩვენც დაგვიდგება უკანასკნელი წუთი. განსხვავება იმაშია, ადრე თუ გვიან... ეხლა კი საქმეს შევუდგეთ,—ნუ დაივიწყებ, რომ ღატაკები ვართ.

გააკეთა ნასკვი, მოსდსო თევზს და მოაბა ნავს.

ზურგის ქარი დაუდგათ, მაგრამ ნავში წყალი დაგუბებულიყო, ამძიმებდა და ამიტომ ნელა მიდიოდა. ორივე ვაჭკაცი უწინარეს ყოვლისა მეზღვაურნი იყვნენ; ამიტომ ყველაფერი დაივიწყეს და წყალის ამოღვრას შეუდგნენ.

ამ მუშაობაში გაიარა რამდენიმე საათმა. მძიმე სამუშაო თითქო მოსაზრებას არ აცლიდა ანტონიოს, მაგრამ წამ და უწუმ თვალებზე ადგებოდა ცრემლი, რომელიც ნავიდგან გადადვრილ წყალთან ერთად ეცემოდა ზღვას, მის შვილის სამარეს.

ნავი, რაც უფრო აკლდებოდა წყალი, უფრო და უფრო ჩქარა მიდიოდა.

გამოჩნდა პატარა ნავთსადგური. პატარა თეთრი სახლებით, რომელნიც ჩამავალ მზეს ოქროსფრად შეეღება.

ნაპირის დანახვამ გაუღვიძა ანტონიოს მიყუჩებული შიში და მწუხარება.

— რას მეტყვის ცოლი? რას მეტყვის რუფინა?—წაილუღლუღა საბრალომ ქვითინით.

შიშმა აიტანა ეს გაბედული და შეუდრეკელი ვაჭკაცი, რომელიც როგორც ყოველი მისი მსგავსი შინაურ ცხოვრებაში თავის ცოლის ყურმოჭრილი ყმა იყო.

ნაზ მისალმებასავით გაისმა ზღვაზე მხიარულ ვალსის ხმები. ხმელეთის სიო მხიარულის მელოდიით უხვდებოდა თავს. ვაზინოს წინ უკრავდა მუსიკა. ბრტყელფოთლიან ბზის ქვეშ დასეირნობდა ხალხი და შორიდან ფერად მძივებსავით ირხეოდა ქალების აბრეშუმის მოსასხამი, კაცების ჩალის ქუდები, ღია ფერი ტანისამოსი საზაფხულო დროს გასატარებლად მოსულ აქ ხალხისა.

თეთრსა და წითელ კაბებში გამოწყობილი ბავშვები დარბოდნენ, თამაშობდნენ და ცელქობდნენ.

ნავთსადგურში შეგროვილიყვნენ მეთევზეები. ზღვის დიდ მანძილზე მათი გაწვრთნილი თვალები კარგად ხედავდნენ, რასაც მოათრევდა ნავი. ანტონიო კი გასცქეროდა მხოლოდ ნავთსადგურის კედლის ბოლოზე მაღალ შავგვრემან ქალს, რომელსაც მანდილი მოეხადა, დიდ ქვაზე ასულიყო და გაჩერებულიყო, ქარი უფრიალებდა კაბას.

მივიდნენ. როგორ დაუხვდნენ. ყველას უნდოდა ახლო ენახა უშველებელი პირუტყვი. მეთევზენი შურის თვალით უყურებდნენ, ტიტველი ბავშვები, აგურის ფერისანი, სცვიოდნენ წყალში, რომ თევზის უშველებელ ბოლოს ხელით შეხებოდნენ.

რუფინამ ძლივს გამოატანა ხალხს და მიუახლოვდა ქმარს, რომელიც თავ ჩაღუნული, უგრძნობლად უსმენდა ამხანაგების მოლოცვას.

— ბავშვი?.. ბავშვი სადღაა?

საბრალო ქმარმა უფრო დაბლა დაუშვა თავი, სადღაც მხრებს შუა თავი დამალა, თითქოს უნდნდოდა, არაფერი არ დაენახა, არაფერი არ გაეგონა.

— ანტონიკო სადღაა?

და რუფინა ანთებულის თვალებით, თითქო ცოცხალს გადაყლაპვას უპირებდა, სწვდა ქმარს საკინძეში და ეს უშველებელი ვაჭკაცი მიწაზე დაანარცხა. მაგრამ იმ წამსვე ხელი გაუშვა, ზეცისაკენ გაიწოდა ხელები და საშინლად დაიკივლა.

— ოჰ, ღმერთო!.. მოკვდა! ჩემი ანტონიკო დამღვრეულა! ზღვაშია ჩემი ანტონიკო!

— ჰო, დედაკაცო, ძლივს, წარმოსთქვა ქმარმა—უბედურები ვართ. ბავშვი მოკვდა; იქვეა, სადაც მისი პაპა და სადაც მეც ვიქნები ერთ დროს.. ზღვა გვასაზრდოვებს და ზღვავე გვყლაპავს... რას ვიზავთ! ყველა ხომ საეპისკოპოზოდ არ იბადება...

ცოლი აღარ უგდებდა ყურს. გორავდა მიწაზე, იკრუნჩხებოდა, ფეხებს ატყაპუნებდა, თმას იგლეჯდა, სახეს იკაწრავდა...

— ჩემი ბიჭი!.. ჩემი ანტონიკო!..

მეზობელ, მეთევზეთა ცოლები, მიცვივდნენ, კარგად იცოდნენ, რასაც ნიშნავდა ეს ამბავი; თითქმის ყველას მათგანს გამოცდილი ჰქონდა ასეთი მდგომარეობა. ღონიერი მკლავებით ასწიეს საცოდავი ქალი და წაიყვანეს შინ.

ვიღაც მეთევზემ მიაწოდა ერთი ჭიქა ღვინო ანტონიოს, რომელიც სტიროდა. მისი ამხანაგი ამასობაში ევაჭრებოდა ჩარჩებს, რომელთაც უნდოდათ მათის მშვენიერ ნანადირევის ყიდვა.

დღე იწურებოდა. ნაზად მჩქეფარე წყალს ოქროს ფერი დაედო.

დრო გამოშვებით უფრო და უფრო შორიდან ისმოდა მწუხარებისაგან გონება დაკარგულ, გაგიჟებულ საბრალო ქალის სასოწარმკვეთი კივილი.

— ანტონიკო! ჩემო ბიჭო!..

ბზების ქვეშ ისევ დასეირნობდა ლამაზად გამოწყობილი, ბედნიერი, მოცინარე ხალხი, ეს განკერძოებული ქვეყანა, რომელმაც ვერც კი იგრძნო, რომ მის გვერდით მოხდა უბედურება, მათ ერთი თვალის გადავლებაც არ აღირსეს ამ სიღარიბის დრამას. და მხიარული, მელოდიური, ენებით სავსე ვალსი, უსაზღვრო სიმხიარულის ჰიმნი-კი მწყობრად მიექანებოდა ტალღებზე და ეალერსებოდა ზღვის უკუდავ სიმშვენიერეს.

ივ. ზურაბიშვილი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**